კოლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ORGAN CENTRALNEGO i TBILISSKOGO KOMITETOW KP (b) GRUZJI i SOWETOW DEPUTATOW TRUDJĄCHJCSZA GRUZINSKOJ SSR

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 8 თებერვალი, 1949 წ. № 28 (8331). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

რატომ უარყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება სამშვიდობო კაჟის შესახებ?—„პრავდის“ 6/II მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მშრომელთა ორგანიზებულობისა და დარაზმულობის ახალი დემონსტრაცია (1-ლი გვერდი).
მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა სახალხო სასამართლოების არჩევნები მთელ რესპუბლიკაში (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის მთავრობის პასუხი ნორვეგიის მთავრობის განცხადებაზე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობა—კავათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მოხსენებათა გამო (მე-3 გვერდი).
პროპაგანდისტის დასახმარებლად — საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარების შესახებ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

რაზომ უარყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება სამშვიდობო კაჟის შესახებ?

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის“ ეკრიპის გენერალური დირექტორის კინსბერი სმიტის კითხვებზე ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

ყველა ქვეყნის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ყველა ნამდვილმა მომხრემ ამხანაგ სტალინის პასუხში დაინახეს ახალი შესაძლებლობა საერთაშორისო ვითარებაში არსებული დაძაბულობის შესანელებლად, ახალი შესაძლებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ უთანხმებათა აღმოსაფხვრელად.

ამ დღეებში ყველაზე უფრო პოპულარული სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ახლობელ ადამიანის სანუკვარ იმედს, გახდნენ სიტყვები სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამშვიდობო კაჟის დადების შესახებ.

უეჭველია, რომ, მიმართავდა რა ამხანაგ სტალინს კითხვებით, კინკსბერი სმიტი გამოხატავდა ამერიკის შეერთებული შტატების ფართო წრეებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის განწყობილებასა და მისწრაფებას.

უეჭველია, რომ სწორედ ამ წრეების მიერაა ნაკარნახევი ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ეფექტიანი მოწესრიგების ის პროგრამა, რაც ჩამოყალიბებულია კინკსბერი სმიტის კითხვებში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის აღიარებთ, ასეთი მოწესრიგების მომხრეები ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მეტ აქტივობასა და სიმტკიცეს იჩენენ.

კინკსბერი სმიტის კითხვებში წამოყენებული წინადადებანი, როგორც ცნობილია, ითვალისწინებენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების მიერ არა მარტო ერთობლივი დეკლარაციის გამოქვეყნებას, რომელიც „დადასტურებს, რომ არც ერთსა და არც მეორე მთავრობას განზრახვა არა აქვს მიმართოს ომს ერთმანეთის წინააღმდეგ“, არამედ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებასაც, რომლებიც მმართველია სამშვიდობო პაქტის განხორციელებისაკენ და თანამეგობრობი განიარაღების იწვევენ. პრეზიდენტ ტრუმენისა და გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის შეხვედრა, რომელზეც სმიტი წერდა, განზრახული იყო სწორედ ყველა იმ საკითხის განსახილველად, რომელიც დაკავშირებულია სამშვიდობო პაქტის დადებასთან.

ბოლოს, ამავე დროს წამოყენებული იყო კონკრეტული წინადადებებიც, რომლებიც მიმართულია გერმანიის პრობლემის, აგრეთვე ბერლინის საკითხის გადაჭრისაკენ.

ვინ დაიწუალებ იმის უარყოფას, რომ ამ პროგრამის განხორციელებით შეიქმნებოდა რეალური შესაძლებლობა არა მარტო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მოსაწესრიგებელად, არამედ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მნიშვნელოვანი განმტკიცებისთვისაც.

სსრ კავშირის მთავრობამ სწორედ ასე შეაფასა წამოყენებული წინადადებანი. უცვლელად ხელმძღვანელობს რა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებით, სსრ კავშირის მთავრობამ ხალისით გამოთქვა თავისი თანხმობა დადოს და განახორციელოს ხაჭითა კავშირ-ამერიკის სამშვიდობო პაქტი, მოაწესრიგოს ბერლინის პრობლემა.

პრესის ცნობებით ვიცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. ახლა ბავშვებისთვისაც კი ცხადია, რომ სმიტის ინიციატივა სავსებით ეწინააღმდეგება ამერიკის ის მმართველი წრეების გეგმებსა და ტაქტიკას, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთაშორისო ვითარებაში არსებული დაძაბულობის არა შენელებას, არამედ, პირიქით, მათს შემდგომ გამწვავებას და ამიტომ ეგრეთწოდებული „ცივი ომი“ გადაკიდეს თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად.

ამერიკის მმართველი წრეების უარს საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო პაქტის დადებაზე მხოლოდ ერთი აზრი აქვს. სამშვიდობო პაქტი არასაზრით არ შეესაბამება იმ გეგმის საერთო კურსს, ხასიათს, მიმართულებას, ნამდვილ არსს, რომელსაც ამერიკის მმართველი წრეები საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ახორციელებენ. ამ გეგმის აღფასება ეკ ო

ეკის წარმოადგენს აგრესიული ბლოკების შექმნა ამერიკის მფარველობით, განიარაღებული და გამალებული შეიარაღება, ყველი ანტისაბჭოთა კურსისაკენ დაბრუნება და იმ ყველაზე ბენული „სტრატეგიის“ განხორციელება, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის ოზოლ-ოლიესაკენ, გარემოცვისაკენ.

სამშვიდობო პაქტს ამერიკის მმართველი წრეები უპირისპირებენ ეგრეთწოდებულ ჩრდილო ატლანტიკის პაქტს, რომელიც აგრესიისა და საერთაშორისო ავანტიურების პოლიტიკის კონცეპტირებულად გამოხატულებას წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები ცდილობენ სამშვიდობო პაქტზე უარის ოქმის აშკარა აზრი დფარონ არგუმენტების მთელი ბატარეით, რომელთა სრული უსაფუძვლობა ახლოლეტურად ცხადია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი სამშვიდობო პაქტის ხელმოწერის შესაძლებლობას გამორიცხავს იმ საფუძვლით, რომ საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, „ისე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა სხვა წევრმა, იკისრეს უალრესად სანეიმო სახელმეურულობა ვალდებულებანი—ომი არ აწარმოონ ერთმანეთის წინააღმდეგ“.

ამ „არგუმენტის“ უსაფუძვლობა პირდაპირ ოვალში გეცემა. მართლაც, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით 1948 წელს დასავლეთ ევროპაში აშკარად აგრესიული მიზნებით შეიქმნა სამხედრო პოლიტიკური ბლოკი „დასავლეთი კავშირის“ სახელწოდებით. ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელთა ოფიციალური განცხადების მიხედვით, იქმნება ჩრდილო ატლანტიკის ბლოკი, რომელშიც უშუალოდ შესვლა უკვე განზრახული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და რომელიც, საყოველთაო აღიარებთ, ახალი მსოფლიო ომის მომზადების უმნიშვნელოვანესი ბერეტი უნდა გახდეს.

ყველასათვის ცხადია, რომ ამ დ ბალი ბაგანიული ბლოკების შექმნა აშკარად უთხრის ძირს იმ სფუძველს, რომელზეც აგებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, და არღვევს მის წესდებას. მაგრამ ამერიკის მმართველი წრეები მოდამ ცდილობენ მათ მიერ ჩამოყალიბებული ბლოკები დფარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ყოველგვარი უსაფუძვლო დამოწმებით.

რა გამოდის ამ შედეგად?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ნებას იძლევა შეიქმნას აგრესიული ბლოკები, მაგრამ კატეგორიულად კრძალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორ წევრს შორის სამშვიდობო პაქტის დადებას.

რა თქმა უნდა, ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და მისი წესდების სრული დამახინჯება. რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის არგუმენტი ყურით მოთრეულია. ნამდვილად კი სამშვიდობო პაქტი არა თუ ხავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს, არამედ უდიდეს როლსაც კი შეასრულებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში, მისი საერთაშორისო წონისა და ავტორიტეტის ამაღლების საქმეში.

სამშვიდობო პაქტის საკითხში ახალი ძალით გამოჩნდა ორი ხაზი საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. ერთი მათგანი მიმართულია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის განმტკიცებისაკენ, მაშინ როცა მეორე ხაზმა პრინციპად გადაიქცია საერთაშორისო მშვიდობისნი თანამშრომლობის ჩაშლა და მიზნად დაისახა საერთაშორისო ვითარების ყოველმხრივი გაუმჯავესება.

მორალი, რომელიც ამ ფაქტიდან გამომდინარეობს, აბსოლუტურად ნათელია საბჭოთა ადამიანებისათვის. ეს მორალი ისეთია, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ჩრდილო ატლანტიკის პაქტის შესახებ, „უფრო ენერგიულად და უფრო თანმიმდევრულად იბრძოლებს ყველა და ყოველგვარი ომის გამჩაღებლის წინააღმდეგ, აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, საყოველთაო მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის“.

„პრავდის“ 6/II მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონუმენტები

ფოთელ ფყარო. (საკ. კორ.). ხოფელ გამარჯვების ედანოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიდგა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მონუმენტები. მონუმენტების ირგვლივ გაშენდება ყვავილნარი.

ყველისა და კარაქის ქარხანა

სილნაღი. (საკ. კორ.). დაბა წნორაში დაიწყო ყველისა და კარაქის ქარხნის მშენებლობა. ქარხანას ექნება მაცივარიც. იგი მომსახურებას გაუწევს სიღნაღის, წითელწყაროს და ლაგოდეხის რაიონებს.

3.400 ცენტნერი შაქარი გორის რაიონის კოლმეურნეობებს

გორი. (საკ. კორ.). რაიონის მეჭარხლე კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის კულტურისაგან დიდძალ შემოსავალს იღებენ. გასულ სამეურნეო წელს მეჭარხლე კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლიდან მიიღეს 6.576.000 მანეთი და 3.400 ცენტნერი შაქარი.

სოფელ თორტაზოს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას, რომელსაც 18 ჰექტარზე ეთესა შაქრის ჭარხალი, 10.280 კილოგრამი შაქარი ხვდა, სოფელ ზეღოლუღუთის კოლმეურნეობა „მეურნეს“ — 10.900 კილოგრამი შაქარი.

107 ათასი მანეთი და 7 ჯონა მარცვლეული შრომადღეებზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობა „ინგირის“ მერგოლოურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ქსენია სარსანიამ შარშან მისთვის მიჩენილი 0,8 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 20.049 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მოსავალი მიიღო. მას გამომუშავებული აქვს 3.600 შრომადღე, რაშიც მიიღო 107 ათასი მანეთი ფულად და 7 ტონა მარცვლეული. აქედან შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით ქ. სარსანიას მიღებული აქვს 48 ათასი მანეთი ფულად და 3 ტონა მარცვლეული.

სასოფლო საავადმყოფოები

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ დაბა სურამსა და სოფელ ქვიშნეთში გახსნა ათ-ათასწოლიანი საავადმყოფოები.

საავადმყოფოთა მოწყობაზე 45.000 მანეთი დაიხარჯა.

ახალგაზრდა რაციონალიზაციორები

დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში კომკავშირელი გამომძიებელი ელექტროშეინკალი ვ. რადჩენკო. მან გააკეთა ავტომანქანის სასიგნალო დეტალის საკეთებელი ტვიფარი, რომელიც მორგებული აქვს მექანიზმს. ტვიფრის გაკეთებით მიღწეულ იქნა სასიგნალო დეტალის გამოშვების მექანიზაცია (წინათ დეტალს ხელით ჭედდნენ), რაც ქარხანას წელიწადში 1.950 მანეთ ეკონომიას აძლევს.

* * *

კომკავშირელი ზეინკლის რ. გოგუაძის წინადადებით მანქანის გადაბმულობის სისტემის გარცმის შეკეთების ტექნოლოგიაში შემოიღეს შეფუღების მეთოდი. ამან გააადვილა გარცმის შეკეთება. აღნიშნული წინადადების განხორციელება ქარხანას წელიწადში 1.200 მანეთი ეკონომიას აძლევს.

* * *

ქარხანაში წინათ არ მზადდებოდა ავტომანქანის დინამოს კორპუსი. კომკავშირელმა ვ. შეეცოვმა ტრაქტორის დინამოს კორპუსი გადაიკეთა ავტომანქანის დინამოს კორპუსად, რაც წელიწადში 2.200 მანეთი ეკონომიას იძლევა.

კომკავშირელებმა ვ. შეეცოვმა და ვ. რადჩენკომ დიდიხანია შეასრულეს 5-წლიანი გეგმა და საკავშირო ალკ XI ყრილობის აღსანიშნავად კიდევ მეტი წარმატების მოპოვებისათვის იბრძვიან.

ხერთვისკესის მშენებლობაზე

ასპინძა. (საკ. კორ.). ხერთვიისის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. ახლახან დამთავრდა მიწის სამუშაოები და შეუდგნენ არხის დაბეტონებას.

მშენებლობის ადგილას მიღებულია ტურბინი, რომლის მონტაჟიც მალე დაიწყება. ხერთვისჰესი ამუშავების შემდეგ ელექტროენერგიით უზრუნველყოფს რაიონულ ცენტრს ასპინძას და ყველა კოლმეურნეობას.

ღუღის ქარხანა სოხუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს „ლუდლიმონადტრესტი“ სოხუმში აშენებს ლუდის ქარხანას. მიმდინარეობს ქარხნისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და დამბორე ნაგებობათა მშენებლობა. მთავრდება 80-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, სახელოსნოსა და საწყობის მშენებლობა.

ქარხანა, რომლის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლოსათვის, წელიწადში გამოუშვებს 1 მილიონამდე ლიტრ ლუდს.

ახალი ჭრაქჭორები საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის

განუწყვეტლივ იზრდება საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მიიღებენ ახალ ტრაქტორებსა და მისაბმელ იარაღებს.

ახალი ტრაქტორების ყველაზე დიდი რაოდენობა გათვალისწინებულია აღმოსავლეთ საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის. აღიგენის მანქანა-ტრაქტორთა სადგური მიიღებს 11 ტრაქტორს, ზესტაფონის —5, თელავის—4, აგარისა და ახალქალაქის—სამ-სამ ტრაქტორს.

სოფლების ელექტროფიკაცია

საგარეჯო. (ხეც. კორ.). სოფელ პატარძეულის ლენინისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა დაამთავრეს 200 ცხენისძალიანი ელექტროსადგურის მშენებლობა. ახლა მიმდინარეობს ელექტროგაყვანილობის მონტაჟი. გარდა კოლმეურნეთა ბინების განათებისა, ელექტროდენით იმუშავებს ხე-ტყის სახერხი ქარხანა და წისქვილი. ელსადგური მოაწყო სოფელ ხაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამაც. მშენებლობა დაწყებულია აგრეთვე ნინოწმინდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ნორჩ მიჩურინელთა წრე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ მეორე სვირის საშუალო სკოლაში მოეწყო ნორჩ მიჩურინელთა წრე. წრე ნაყოფიერად მუშაობს. წრეში ჩატარდა მოხსენება თემაზე: „მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა“. წელს წრის წევრები მოიახლენენ აგრეთვე დაკვირვებას სიმინდის ჯიშების საცდელ შეჯვარებაზე, აგრეთვე ადვილობრივი ჯიშის ვაზებზე.

წრეში გაერთიანებულია 30 მოსწავლე. მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ მოწინავე მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერების შესწავლისადმი. წრეს ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მასწავლებელი ალ. შარიკაძე.

დახმარება მრავალშვილიან და მარჯოხელა დედებს

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარების სახით 1948 წელს მისცა 487.374 მანეთი.

მოლდავეთის კ. პ. (ბ) მეორე ყრილობა

კიშინიოვი, 5. თებერვალი. (საკ. დეს). დღეს ბაიხსა მოლდავეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) II ყრილობა.

ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ დელეგატებმა დიდი აღფოთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი: მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენწება, ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ბ. კოვალმა.

ნაკადური სისტემა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოებში ფართოდ ინერგება მოწინავე ტექნოლოგია — ნაკადური წარმოება, კონვეიერული აწყობა, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს საწარმოო ციკლი და დაჩქარდეს საბრუნავი თანხების ბრუნვა. შარშან ქარხანაში შემოღებული იყო ასამდე ნაკადური ხ. ზი და 140 კონვეიერი კომბაინების, გუთნების, სთიეი, სამკელი მანქანების, კულტივატორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დასამზადებლად. შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის დანერგილია 60-ზე მეტი სხვადასხვა აწყ. ყოველივე ამან გასწია ორი ათასზე მეტი კვალიფიციური მუშისა და მოწყობილობის 270 ერთეულის მაგირონა. წარმოების მექანიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა 30,5 მილიონ მანეთზე მეტი დაგვიზოგა.

წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში შეიქმნება 100-ზე მეტი ნაკადური ხაზი სამსხვეთ, სამკვეღლო-საწნეხი, მექანიკურ-საამწყობლო და სხვა საამქროებში.

ლიუბერცის უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში კონვეიერზე გადაყავთ სათიბი მანქანების აწყობა.

კონვეიერზე გადაყავთ აგრეთვე სათესი მანქანების წარმოება კიროვოგრადის ქარხანა „კრასნაია ზვეზდაში“, ხუთკორპუსიანი გუთნებისა ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანაში, სალეწი მანქანებისა ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტში“.

დიდი ყურადღება ექცევა უახლესი მოწყობილობით საწარმოთა აღჭურვას. 1949 წელს ქარხნებში მიიღებენ 200-მდე მაღალნაყოფიერ სპეციალურ და აგრეგატულ ლითონსაჭრელ დაზგას. დასახულია ლიუბერცის უხტომსკის სახელობის, ძერჟინსკის სახელობის, ფრუნზეს სახელობის ქარხნებში შემოღებულ იქნას ავტომატიზებული ხაზები ყველაზე უფრო პასუხსაგები დეტალების დასამზადებლად.

800 დაზგა გადაყავთ ჩქარ ხეხვაზე, ღარვასა და ხვრეტაზე.

წელს შემდგომ განვითარდება უახლესი ტექნოლოგიური პროცესები — ფიტალების ჩამოსხმა, თხევადი ტვიფრვა. დამუშავების ინოდურ-მექანიკური მეთოდები. (საკ.).

კრედიტები საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაკრედიტებასთან ერთად ცენტრალური კომუნალური ბანკი მომდინარე წელს კრედიტებს მისცემს საწარმო-დაწესებულებებს გასაყიდ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ამრიგად, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შესაძლებლობა ეძლევათ არა მარტო აიშენონ ბინები სახელმწიფოსაგან მიღებული კრედიტებით, არამედ საკუთრებად შეიძინონ მზა სახლები.

საწარმო-დაწესებულებანი გასაყიდ სახლებს აშენებენ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით. აშენდება თითო, ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი თვალი სახლები. მზა სახლები გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე და განსაკუთრებულ შემთხვევებში გადასახდელის 2-3 წლით გადავადებით. მუშები და მოსამსახურენი, რომლებიც საწარმო-დაწესებულებებისაგან იყიდიან სახლებს, საკუთრების უფლებას მიიღებენ მათი ღირებულების სრულად გადახდის შემდეგ.

მშრომელს უფლება ეძლევა აგრეთვე სახლები შეიძინონ არსებული საბინაო ფონდიდან, რომელიც ეკუთვნით სამინისტროებს, უწყებებსა და ადგილობრივ საბჭოებს. ამ ფონდიდან გასაყიდად შეიძლება გამოიყოს მხოლოდ ერთ ან ორსართულიანი 1-5 ოთახიანი სახლები. საცხოვრებელი სახლების გასაყიდ ღირებულებას დაადწესებენ შემფასებელი კომისიები, რომლებიც შეიქმნება საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, აგრეთვე საწარმო-დაწესებულებებთან.

მშრომელთა ორგანიზებულობისა და დარაზმულობის ახალი დემონსტრაცია

ქვირას, 6 თებერვალს, საქართველოს მშრომელებმა ბირჩიეს სახალხო სასამართლოები. არჩევნები ჩატარდა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როგორც ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ბოლშევიკური პარტიის გარშემო მისი დარაზმულობის მძლავრი დემონსტრაცია.

სახალხო სასამართლოების არჩევნებს წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ადგილმრიგმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შეძლეს არჩევნებისათვის მზადების საქმეში გამოეყენებიათ მათს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, მოსახლეობაში საუკეთესოდ მოეწყოთ მასობრივ-პოლიტიკური და საგიტაციო მუშაობა. სწორედ ამან შეუწყო ხელი არჩევნების წარმატებას.

არჩევნებში საქართველოს მშრომელთა ერთსულოვან მონაწილეობაზე ლაპარაკობენ ადგილებიდან მიღებული ცნობები. სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარის საარჩევნო პუნქტში დილის 10 საათისათვის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ასმა პროცენტმა მისცა ხმა. საღამოს 6 საათისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მიცემული ქონდა ხმა ამომრჩეველთა 99,5 პროცენტს. ლენინგორის (სამხრეთ ოსეთი) რაიონის ჩიგონარის, სამტაკნეთისა და ბაგინის საარჩევნო პუნქტებში დილის 11 საათისათვის ამომრჩეველთა ას პროცენტს მიცემული ქონდა ხმა. ასეთივე დიდი აქტივობით ხასიათდებოდა აჯარის ასსრ, ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, გორის, ცხაკაიას, გარდაბნის, ხაშურის და სხვა რაიონების მშრომელთა მონაწილეობა არჩევნებში.

თბილისის მოლოტოვის რაიონის მეცამეტე საარჩევნო ოლქის მე-14 საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემასას დიასახლისმა მ. ვარაზაშვილმა სთქვა:

— ხმას ვაძლევ რა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ჩვენი სასამართლო უფრო უკეთესად იბრძოლებს საბჭოთა კანონების ურყევად განხორციელებისათვის, ფხიზლად იდგომება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

ამ სიტყვებში ყველა ამომრჩეველის სურვილი და მისწრაფებაა გამოხატული.

მშრომელთა ერთსულოვანი გამოცხადება არჩევნებზე მოწმობს საბჭოთა დემოკრატიის ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას, იმ სახალხო მხარდაჭერას, რომლითაც ჩვენი მთავრობისა და პარტიის ყოველი ღონისძიება სარგებლობს.

სახალხო სასამართლოების არჩევნები ჩატარდა დიდი მნიშვნელობის მომენტში. არჩევნები ჩატარდა იმ დღეებში, როცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და მთელი ქართველი ხალხი შეუდგნენ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას. ყრილობაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება და ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი რესპუბლიკის მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ, ყველა შრომელმა მიიღეს, როგორც თავიანთი ბრძოლისა და შრომის გაწლილი პროგრამა. ეს გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებენ ქართველ ხალხს ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის, გაბედული შემოქმედებისათვის, შეუპოვარი და ენერგიული ბრძოლისათვის საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, მშრომელთა კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად.

ჩვენს შემდგომ წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საბჭოთა სახალხო სასამართლოებს. ხალხი საბჭოთა სახალხო სასამართლოს მუშაობას დიდ მნიშვნელობას აძლევს, რადგან იგი ეხმარება მას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში, შრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის ბრძოლაში.

არჩევნებში ქართველი ხალხის დიდი აქტივობა და ერთსულოვნება იმის საწინდარია, რომ რესპუბლიკის შრომელები წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ყველა ამოცანას, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

არქიეპეტროთა საკავშირო თათბირი

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა არქიტექტორების ყავშირის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, ილაპარაკეს მიმდინარე წლის მუშაობის გეგმებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოხსენებამ ბელორუსის ქალაქებისა და სოფლების აღდგენის შესახებ, სადაც უკვე ორ მილიონზე მეტი კოლმეურნე გადაყვანეს მიწურებიდან ახალ კეთილმოწყობილ სახლებში.

თათბირმა დიდი ყურადღებით მოისმინა ინფორმაცია საქართველოს არქიტექტორთა მონაწილეობაზე ქალაქ რუსთავის მშენებლობაში, სადაც ლამაზ, მოხერხებულ სახლებს უშენებენ მეტალურგიული ქარხნის მუშებს, აგრეთვე, შენდება კლუბები, სკოლები, საავადმყოფოები. თათბირის მონაწილეებმა ეესკურსია მოაწყეს კრემლში, დაათვალიერეს დედაქალაქის ახალშენებლობანი.

მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩაბარდა სახალხო სასამართლოების არჩევნები მთელ რესპუბლიკაში

★ ★ ★

ერთსულოვნებისა და დარაზმულობის დემონსტრაცია

(დედაქალაქის საარჩევნო პუნქტებიდან)

პროფესორებითა და ფერად-ფერადი ნათურებით გაკაშკაშებულ პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ჩუქურთმებიან სვეტებზე წარწერაა: „დიდება დიდ სტალინს“. ფასადს ამშვენებს ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის შშობლიური სტალინის დიდი პორტრეტი, ალისფერი დროშები, ლოზუნგები, პლაკატები.

აქ მოთავსებულია ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მეათე საარჩევნო ოლქის № 27 საარჩევნო პუნქტი.

დილით დათოვლილ ბაღში ასამდე კაცმა მოიყარა თავი. უკრავს ორკესტრი, ჭაბუკები მღერიან, ცეკვავენ...

საათმა 6 დაჭკრა...

აი, ხალიჩებით მოფენილ სუფთა ნათელ ოთახში შემოდიან ამომრჩევლები. აქ არიან სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს სახელოვანი სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, დიასახლისები...

ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის რწმუნებული ამხ. გ. გეგეშიძე შეკრებილთ ულოცავს სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეს და იწვევს ამომრჩევლებს, რომ შეასრულონ თავიანთი ძოქალაქეობრივი მოვალეობა.

საარჩევნო ყუთთან მიეიდა 90 წლის დარო გელაშვილი, ბედნიური დედა, რომლის შვილებმა და შვილიშვილებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღეს შრომის, სწავლის, დასვენების ნამდვილი უფლება.

— მე ხმას ვაძლევ,—ამბობს იგი, — ხალხის მიერ დასახელებულ საამაყო ადამიანებს, ჩვენი საშობლოს შემდგომ ძლიერებას...

საარჩევნო ბიულეტენს იღებს ფრიადოსანი მოსწავლე კომკავშირელი ლამარა ზაალიშვილი. ის პირველად მონაწილეობს არჩევნებში და უხარია.

საარჩევნო ყუთთან მიდიან სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ცნობილი სტახანოველები ეკატერინე ხუბულური და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ხარატი ლიდა კილაძე. ისინი არჩევნების აღსანიშნავ ვახტზე იდგნენ და დღიურ დავალებას 400 პროცენტით ანაღდებდნენ. მოდიან ახალგაზრდები და მოხუცები, სტახანოველები, ლენინელები, დიასახლისები... არჩევნების დაწყებიდან 4 საათის შემდეგ 1.071 ამომრჩეველიან საარჩევნო ყუთთან 900-ზე მეტი კაცი მივიდა...

მეთერთმეტე საარჩევნო ოლქის № 31 საარჩევნო პუნქტში საარჩევნო ბიულეტენს იღებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი სტახანოველი ვ. კორძაძე. ის არჩევნების აღსანიშნავად დღიურ დავალებას 500 პროცენტით ანაღდებდა. დარბაზში შემოდის ხარატი მ. აკოფოვი, რომელმაც არჩევნების დღისათვის — 6 თებერვლისათვის 11 წლისა და 6 თვის გეგმა გაანაღდა. ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ სახალხო მოსამართლის კანდიდატს ს. გელაშვილს, სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს — 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველებს ს. ჰოხონელიძეს, ვ. ცოფურიშვილს და სხვ., რომელთაც თავი ისახელეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში.

შესანიშნავად არის გაფორმებული სტალინის რაიონის მეორე საარჩევნო ოლქის მე-3 საარჩევნო პუნქტი. ყვავილების თაიგულებითა და პლაკატებით მოურთავთ ამომრჩეველთა მისაღები ოთახები. აქ დილაადრიან დაიწყეს მისვლა სადღესასწაულოდ მორთულმა მშრომელებმა.

დილის სრულ 6 საათზე სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის რწმუნებული ამხ. შ. ქიშმარიშვილი ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. საარჩევნო ბიულეტენებს იღებენ ამ პუნქტის ტერიტორიაზე მცხოვრები მუშები, ინჟინრები, ექიმები, დიასახლისები.

ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩევლები დიდხანს არ მიდიოდნენ საარჩევნო პუნქტებიდან, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთი აზრსა და გრძნობებს, მონაწილეობას იღებდნენ საერთო მხიარულებაში.

სტალინის რაიონის ყველა საარჩევნო პუნქტში ორგანიზებულად ჩატარდა ხმის მიცემა. დღის 12 საათისთვის რაიონის ამომრჩეველთა 90 პროცენტს მიეცემული ჰქონდა ხმა.

მოლოტოვის რაიონის მეთორმეტე საარჩევნო ოლქის საზეიმოდ მორთულ № 1 საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემა ორგანიზებულად დაიწყო. ამომრჩეველთა შორის არიან პროფესორები ა. ზურაბაშვილი, კ. ვეფხვაძე, ნ. ასპაროვი, საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, პედაგოგები, მეცნიერი მუშაკები, დიასახლისები.

ყველანი ერთსულოვნად აძლევენ ხმას სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს.

მეცამეტე საარჩევნო ოლქის მე-14 საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემის შემდეგ მოხუცმა დიასახლისმა ძ. ვარაზაშვილმა განაცხადა:

— ხმას ვაძლევ რა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ჩვენი სასამართლო უფრო უკეთესად იბრძოლებს საბჭოთა კანონების ურყევად განხორციელებისათვის, ფხიზლად იდგომება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

მოლოტოვის რაიონში დღის 1 საათისათვის ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა მისცა ხმა.

ბერიას რაიონის მშრომელებმა ადრე დილიდანვე იწყეს დენა საარჩევნო პუნქტებისაკენ. ხელოვნების მუშაკთა სახლში მოთავსებული იყო მეჩვიდმეტე საარჩევნო ოლქის მე-5 საარჩევნო პუნქტი. ეს პუნქტი არჩევნებისათვის მზადების დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ეწყობოდა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩეველებთან; რაიონის მშრომელები აქ ისმენდნენ ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს საბჭოთა სახალხო სასამართლოს, საბჭოთა მართლმსაჯულების როლსა და ამოცანებზე, მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებზე.

კვირას, აქ საზეიმო განწყობილებით მოვიდნენ მშრომელები, რათა პირნათლად მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, — სახალხო სასამართლოს შემადგენლობაში აირჩინონ სამშობლოს ერთგული ადამიანები.

დილის ათი საათისათვის ამ საარჩევნო პუნქტში ამომრჩეველთა დიდ უმრავლესობას ჰქონდა მიცემული ხმა.

როგორც საბჭოების არჩევნების დროს, ახლაც, სახალხო სასამართლოების არჩევნებში, თავის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია მოახდინეს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა. ყველა საარჩევნო პუნქტებში ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა იგრძნობოდა.

ოცდამეორე საარჩევნო ოლქის 24-ე საარჩევნო პუნქტში, რომელიც მოთავსებულია სტუდენტთა ქალაქის კლუბის შენობაში, ხმის მიცემის დაწყებადე დიდი ხნით ადრე თავი მოიყარეს სტუდენტებმა, მუშებმა, მოსამსახურეებმა და დიასახლისებმა.

სრულ 6 საათზე საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად მაგიდასთან პირველი მიდის ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ვეხერა ინგოროყვა. შემდეგ ხმას აძლევს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, სტალინური სტიპენდიანტი ანტონინა ბარბაქაძე. ის ამბობს:

— დღეგანდელ დღეს კარგი მაჩვენებლები შეგხვდეთ. წარმატებით დავიცავი რა სადიპლომო შრომა, სამუშაოდ მივემგზავრები მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლებ ჩვენი მზიური საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისთვის, სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობის განუხრელად გადიდებისათვის. ღრმად მწამს, რომ ჩვენს მიერ არჩეული სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯულები მთელ თავიანთ უნარსა და ცოდნას მოახმარენ სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას და მოქალაქეთა უფლებების მტკიცედ დაცვას.

რაიონის საარჩევნო პუნქტებში დღის 1 საათისათვის ამომრჩეველთა დიდ უმრავლესობას ჰქონდა მიცემული ხმა.

* * *

დედაქალაქის მშრომელებმა 6 თებერვალს ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა, თავიანთი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი.

ამომრჩევლები იღებენ ბიულეტენებს ქ. თბილისის სტალინის რაიონის მეხუთე საარჩევნო ოლქის მე-8 საარჩევნო პუნქტში. ფოტო ვ. გინზბურგისა

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში

სოხუმი

ამომრჩევლები დილაადრიანად გაემართნენ საარჩევნო პუნქტებისაკენ. ყველგან მხიარულება იყო. აგერ კონცერტი გაუმართავთ მასწავლებელთა სახლში, სადაც რუსთაველის საარჩევნო პუნქტია მოთავსებული. დღეს აქ პრემიერად შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი ვალი თეიმურაზ ფალავანდიშვილმა. ფიზიკოსი ამ-ბობ-ამსამახურეები, ბ. ალპანელიძე, ბ. ბაბალიკაშვილი, ბ. ბ. ბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

ქამათი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ე. ჯვებენავას სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი)

საქართველოს ვ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ტყიბულის რაიონული პარტიული ორგანიზაცია მოვიდა რიცხობრივად და ხარისხობრივად გაზრდილი და გამტკიცებული. გაიზარდა როგორც პარტიის წევრთა რაოდენობა, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი. პარტიის რიგებს შეემატნენ სოციალისტური შრომის ნოვატორები — ქვანახშირის შახტებისა და კოლმეურნეობათა მოწინავე ადამიანები. რაიონული პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის დიდი ნაწილი ახალგაზრდა კომუნისტებია. რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკურად აღზრდას და მათს ორგანიზაციულად გამოწრთობას. კომუნისტების პოლიტიკური განათლებისათვის ზრუნვა განსაკუთრებით გაძლიერდა გასული წლიდან. ამგვარად რაიონში მუშაობს 76 პოლიტწრე, რომლებიც 1.346 კომუნისტია გაერთიანებული. თავისთავზე დაწოლილიდან 311 კომუნისტი.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა მოწოდების სიმაღლეზე დაყენოს კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე, რადგან ამ მხრივ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. არის მეცდინეობის გაცდენის შემთხვევები, ზოგიერთი კომუნისტი, რომელსაც პასუხისგები თანამდებობა უჭირავს, არ მუშაობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად და ამას დროს უქონლობით ხსნის. შახტებში კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ისიც ბრკოლებს, რომ რაიკომის პარტკაბინეტი სიმორის გამო ხელმისაწვდომი არ არის მეშუბატეებისათვის. კარგი იქნებოდა, თუ ცალკე შახტებთან არა, ყველა შახტისათვის შეგვქმნა ერთი პარტიული კაბინეტი.

ამხანაგებო, როგორც ცნობილია, სამეურნეო წარმატება დიდად არის დამოკიდებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორად დაყენებაზე, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ მუშაობაზე.

ტყიბულის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის მშრომელთა დასაზღვევად. მაგრამ ამ საქმეში მაინც სერიოზული ნაკლოვანებანია.

შარშან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტის ანგარიში ქვანახშირის ტრესტის შახტებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ. მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი გამოქვლეულა.

ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების განხორციელების შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ამაღლდა შახტების ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობა, გაიზარდა გეგმების შესრულების ხარისხი, გაუმჯობესდა ლენინის სახელობის შახტში ქვანახშირის ყოველდღიური ამოღება გეგმის შესრულება გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს 18 პროცენტით გადადგა, სტალინის სახელობის შახტმა 20 პროცენტით.

ტყიბულის მეშახტეებს 1940 წელთან შედარებით თვალსაჩინო მიღწევები აქვს ქვანახშირის ამოღების დარგში. ქვანახშირის ამოღება, 1940 წელთან შედარებით, 100 პროცენტით გაიზარდა. 1948 წელს რაიონის ყველა საწარმომ პროდუქციის გამოშვების გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. საანგარიშო პერიოდში მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩაგიენენ ლენინისა და სტალინის სახელობის შახტები, რომლებიც მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. 1948 წელს დამთავრდა და საექსპლოატაციოდან გადაცემული ახალი შახტი — მოლოტოვის სახელობის შახტი. სერიოზულად გაუმჯობესდა მეშუბათა საყოფაცხოვრებო პირობები. უკანასკნელი 8 წლის მანძილზე აშენებულია 36.000 კვადრატული მეტრი მეშუბათა საცხოვრებელი ბინა. ასეული ათასი მანეთი იხარჯება მეშუბათა უბნების კეთილმოწყობისათვის. უახლოეს პერიოდში ქ. ტყიბულის მშრომელები უზრუნველყოფილი იქნებიან შაორის წყლით. დაწყებულია და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს 40 კილომეტრის მანძილზე გზის შშენებლობა, რომელიც ქალაქ ტყიბულს დააკავშირებს ქალაქ ქუთაისთან.

მართალია, 1947 წელს, 1946 წელთან შედარებით, 25,4 პროცენტით გაიზარდა ქვანახშირის ამოღება, ხოლო 1948 წელს, 1947 წელთან შედარებით, 23,6 პროცენტით, მაგრამ ეს ვერ ფარავს იმ ნაკლოვანებებს, რაც ტყიბულის შახტებს აქვთ ქვანახშირის გეგმის შესრულებაში. ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტი სახელმწიფოს გეგმას ვერ ასრულებს. ჩვენ სახელმწიფოს დავაკლეთ ათეული ათასი ტონა ქვანახშირი. სხვა მიზეზთა შორის ამის მიზეზი ისიც არის, რომ შახტების პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს მუშახლეის შენარჩუნება, საფაბრიკო-სამკერნალო სკოლების კურსდამთავრებულთა გამოყენება თავიანთი კვალიფიკაციის მიხედვით, რაც იწვევს მუშახლეის დენადობას.

ამასთან საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ყურადღება მიაქციოს ქვანახშირის დაძურვაზეის სისტემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას. ეს საკითხი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვანახშირის აუზშია გადაწყვეტილი, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის ტყიბულის საბადოებში აქაური ქვანახშირის თვითწადენის გამო.

ტყიბულის რაიონის პარტიული ორგანიზაციას ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. რაიონის ბოლშევიკები თავიანთ შემდგომ მუშობას საფუძვლად დაუდებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ჩარკვიანის თითითებებს, იბრძოლებენ არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ახალი აღმავლობის მისაღწევად.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარების შესახებ

სსრ კავშირის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელძღვანელობით შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. ბოლშევიკების პარტია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ადამიანების შრომითს აღმავლობას, მოაწყო საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ფორმათა დიდი სხვადასხვაობა ახლანდელ ეტაპზე მოწმობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური შეგნების შემდგომ ზრდასა და მათი საწარმოო-ტექნიკური კულტურის ამაღლებას.

ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ახალი გიგანტური ამოცანები მოითხოვენ ახალ შესაძლებლობათა გამონახვას კომუნისტური მშენებლობის ტემპის შემდგომი დაჩქარებისათვის. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობად მოსკოვის მოწინავე საწარმოებმა წამოაყენეს საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარება. ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 103 საწარმოს კოლექტივებმა იკისრეს საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარების გზით 1949 წელს სახალხო მეურნეობის საბრუნავისათვის ბრუნვიდან გათავისუფლონ 400 მილიონი მანეთი. მთლიანად კი მოსკოვის მრეწველობაში 1949 წელს შეიძლება. გათავისუფლდეს ერთ მილიარდზე მეტი მანეთი.

* * *

როგორია მრეწველობაში სახსრების მიმოქცევის დაჩქარების ეკონომიური მნიშვნელობა?

სოციალისტური სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს აძლევს საბრუნავი სახსრების გარკვეულ თანხას, რაც საჭიროა საწარმოო გეგმის შესასრულებლად. ამასთან საწარმოს ეძლევა სრული ოპერატიული დამოუკიდებლობა და ფართო ინიციატივა მისთვის გამოყოფილი საბრუნავი სახსრების გამოყენების ყველაზე ეფექტიან საშუალებათა გამონახვაში საერთო სახელმწიფო ინტერესების განუხრელად დაცვის პირობით. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოს აკისრია სრული პასუხისმგებლობა მისთვის გამოყოფილი სახსრების დაცვისათვის, მოგების იმ ნაწილით, რასაც საწარმოს უტოვებენ, მათი რეგულარულად შევსებისათვის და მათი მიზანშეწონილად გამოყენებისათვის. ყოველივე ეს, ნათქვამია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 ოქტომბრის მიმართვაში „სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ახალ ლენინისძიებათა შესახებ“, „...აძლიერებს სამეურნეო ორგანოების დაინტერესებას შინდაგრავრების გაფართოებით და ამით აძლიერებს პარტიის პოზიციას სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპისათვის ბრძოლაში“.

საწარმოს განკარგულებაში გამოყოფილი საბრუნავი სახსრები წრებრუნვის სამ თანმიმდევრულ სტადიას გადიან. პირველ სტადიაში საბრუნავი სახსრების ნაწილს საწარმო ხარჯავს მისთვის საჭირო ნედლეულზე, მასალასა და სათბობზე.

საბრუნავი სახსრები აქ გამოდიან წარმოებისათვის განკუთვნილი მატერიალური მარაგის სახით.

მეორე სტადიაში, რომელშიც დამზადებული მასალა იხარჯება პროდუქციის საწარმოებლად, საბრუნავი სახსრები გამოდიან დაუმთავრებელი პროდუქციისათვის ხარჯის ფორმით (დაუმთავრებელი წარმოების ნაშთები, ნახევარფაბრიკატები, ახლადაწარმოებული პროდუქციის ათვისების ხარჯები და სხვ.).

მესამე სტადია იწყება წარმოებიდან მზა პროდუქციის გამოშვებით და მთავრდება მისი რეალიზაციით. საბრუნავი თანხები აქ თანდათანობით გამოდიან მზა საკეთობის, გაგზავნილი საქონლის, მყიდველებთან ანგარიშსწორების სახსრების და, ბოლოს, საწარმოს ფულად სახსრების სახით.

წარმოებას შეუფერხებელი მუშაობისათვის ესაჭიროება განსაზღვრული მინიმუმი საბრუნავი სახსრებისა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს წრებრუნვის ყველა სტადიაშია და გამოდის ყველა ზემოჩამოთვლილი ფორმით. რაც უფრო მალე გადადიან საბრუნავი სახსრები ერთი ფორმიდან მეორეში, მით უფრო ნაკლებია საწარმოსათვის საჭირო საბრუნავი სახსრების მინიმუმის თანხა და მით უფრო მეტია პროდუქციის მოცულობა, რაც საწარმომ საბრუნავი სახსრების მოცემული თანხით დაამზადა. საბრუნავი სახსრების გამოყენების ეფექტიანობა განიზომება ამ სახსრების თანხის შეფარდებით მოცემულ პერიოდში საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებასთან.

განვიხილოთ ცნობები ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო ბურთობსაკისარის ქარხნის (მოსკოვი) სახსრების მიმოქცევის შესახებ.

1948 წლის გეგმით ქარხანას უნდა გამოეშვა 206,2 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც მს 99,7 მილიონი მანეთი საბრუნავი სახსრები ჰქონდა. სახსრების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა 177 დღეს უდრიდა. საბრუნავი სახსრების ყოველ მანეთზე საქონრო იყო 2,07 მანეთის პროდუქციის გამოშვება.

ქარხანამ მნიშვნელოვანი გადაჯარბებით შეასრულა საწარმოო პროგრამა. საბრუნავი სახსრების ყოველ მანეთზე გამოშვებულ იქნა 2,58 მანეთის პროდუქცია. ამრიგად, ქარხანამ სახსრების მიმოქცევა 177 დღიდან 142 დღემდე, ესე იგი 35 დღით, ანუ 19,8 პროცენტით დაიჩქარა. ამან საშუალება მისცა მას ბრუნვიდან 1948 წელს გათავისუფლებინა 19,9 მილიონი მანეთი. ქარხანა ვარაუდობს 1949 წელს საბრუნავი სახსრების მიმოქცევის შემდგომ დაჩქარებას 10 პროცენტით, ე. ი. 14 დღით, რაც საბრუნავი სახსრებს ახალ ეკონომიას იძლევა 10 მილიონი მანეთის ოდენობით.

მოსკოველთა თაოსნობით დაწყებული ფართო მოძრაობა საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დასაჩქარებლად, უეჭველია, დაგვეხმარება სოციალისტური მეურნეობის საქონრობისათვის გადათავისუფლოთ არა ერთი მილიარდი მანეთი.

ეს მოძრაობა სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობათა ახალი დამამტკიცებელი საბუთია. იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას არ ძალუძს თავი გაართვას ომისშემდგომი პერიოდის უდიდეს წინააღმდეგობებს, სოციალისტური მეურნეობა მტკიცედ მიდის წინ და განუხრელად აძლიერებს თავისი განვითარების ტემპს.

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სადაც საბრუნავი კაპიტალის მოძრაობა კერძომესაკუთრული უგეგმო მეურნეობის პირობებში, წარმოების ანარქიისა და პერიოდულად განმეორებული ეკონომიური კრიზისების პირობებში ხდება, რეპროდუქცია ჩვენი სოციალისტური საწარმოების საბრუნავი სახსრებისა, რომლებიც საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენენ, გეგმაშეწონილად ხდება. ასევე გეგმაშეწონილად ხორციელდება მათი წრებრუნვაც. მეურნეობის თვით სოციალისტურ სისტემაში, რომელმაც არ იცის, რა არის ეკონომიური კრიზისები და დეპრესია, მოცემულია საბრუნავი სახსრების წრებრუნვის ყველაზე ეფექტიანი ორგანიზაციისა და მათი მიმოქცევის ყოველმხრივი დაჩქარების უდიდესი შესაძლებლობა.

* * *

როგორია მრეწველობაში სახსრების მიმოქცევის დაჩქარების გზები?

სოციალისტური საწარმოების საბრუნავი სახსრები, როგორც უკვე ნათქვამი იყო, თავის მოძრაობაში წრებრუნვის სამ თანმიმდევრულ სტადიას გაიელიან.

წარმოების სფეროში საბრუნავი სახსრების ყოფნის პერიოდი წარმოების დროს შეადგენს, მიმოქცევის სფეროში მათი ყოფნის პერიოდი კი—ბრუნვის დროს. წარმოების დროისა და ბრუნვის დროის ჯამი ქმნის საბრუნავი სახსრების მიმოქცევის საერთო დროს.

წარმოების დროისა და ბრუნვის დროის ეკონომიური მნიშვნელობა სხვადასხვანაირია და მათი ხანგრძლივობა განისაზღვრება სხვადასხვა ხასიათის ფაქტორებით.

ხანგრძლივობა წარმოების დროისა, რომელიც შედგება სამშაო პერიოდისა და იმ პერიოდისაგან, რის განმავლობაშიც შრომის საგანი ცოტა თუ ბევრად ხანგრძლივ ბუნებრივ პროცესებს განიცდის, ძირითადად განისაზღვრება ტექნიკის დონით და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდით. მიმოქცევის დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაშორებულია საწარმო ნედლეულს წყაროებს და მისი პროდუქციის მოხმარების რაიონებს, აგრეთვე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქონლის მოძრაობის მთელი სისტემის ორგანიზაციაზე.

წარმოებაში საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარების ძირითადი გზა წარმოების ცალკის შემცირებაა. წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა, ნაკადური მეთოდზე გადასვლა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერება—ყოველივე ეს, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო ციკლს.

ნაკადური მეთოდის ფართოდ გამოყენებამ და წარმოების ტექნოლოგიის გარდაქმნამ მოსკოვის ქარხანა „კალინრში“ შესაძლებლობა მოგვცა რამდენჯერმე შეგვემცირებინა ცალკეული დეტალების დამზადების გზა. საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა მიკრომეტრების საამრობი ნაკადურ მეთოდზე გადასვლამ შედეგად თითქმის 7-ჯერ შემცირდა. დეტალის საწყობში დების დრო უკანასკნელ წლებში 7-ჯერ შემცირდა. შტანგენცირკულების საამქროში საწარმოო ციკლი შემცირდა 11-ჯერ, ხოლო დეტალების საწყობში დების დრო 12-ჯერ. ამის შედეგად საბრუნავი სახსრების მიმოქცევა ქარხანა „კალინრში“ 1948 წელს 148 დღიდან 122 დღემდე დაჩქარდა. ამან შესაძლებლობა მოგვცა ბრუნვიდან გაგვათავისუფლებინა 9 მილიონი მანეთი. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში კოლექტივმა იკისრა 1949 წელს სახსრების მიმოქცევა კიდევ 23 დღით დაეჩქაროს და სახელმწიფოს დამატებით გაეთავისუფლოს 5 მილიონამდე მანეთი.

სახსრების მიმოქცევის დასაჩქარებლად დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოთა საწყობებში მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შემცირებას. დღემდე ცოტა როდია ისეთი სამეურნეო მუშაკი, რომელიც ცდილობს მეტი ნედლეული, მასალა და სათბობი შეიძინოს და ანგარიშს არ უწევს დადგენილ ნორმებს.

მატერიალურ მომარაგებასა და საწარმოთა სასაწყობო მეურნეობაში მკაცრი წესრიგის დამყარება, წარმოებაში მასალის ძომჭირნეულ ხარჯვა სახსრების მიმოქცევის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი წყაროებია.

დღემდე ზოგიერთი საწარმო საფინანსო სიძნელეებს განიცდის პროდუქციის გასაღებაში ნაკლოვანებათა მიზეზით, რის გამო მზა საკეთობათა მარაგი მათს საწარმოებში ბევრად აღემატება დაწესებულ ნორმებს. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში მოსკოვის საწარმოთა მუშაკებმა იკისრეს უზრუნველყონ მზა პროდუქციის დროზე რეალიზაცია და მომხმარებლისათვის მისი სწრაფად გაგზავნა. ეს ბევრად დააჩქარებს საბრუნავი სახსრების მიმოქცევას და შეამცირებს საწარმოთა საწყობებში პროდუქციის შენახვის ხარჯს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე ეხება საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარებას არა მარტო 1948 წლის ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარებით, არამედ გეგმიან დავალებებთან შედარებით.

როცა საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ნორმირებულ მარაგთან ერთად, რომლის ოდენობა გათვალისწინებულია საწარმოთა საფინანსო გეგმებით, მრეწველობას აქვს ეგრეთ წოდებული არანორმირებული საბრუნავი სახსრების (ფულადი სახსრები, მყიდველებისათვის გაგზავნილი საქონელი, ყოველგვარი ნალი-ტორული დავალიანება) მნიშვნელოვანი თანხები. ეს არსებით გავლენას ახდენს მთელი საბრუნავი სახსრების ბრუნვის საერთო დაჩქარებაზე. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ თავი მოვუყაროთ თვენსამრეწველო რეზერვებს და უზრუნველვყოთ ყოველი მანეთის ყველაზე ეფექტიანი გამოყენება როგორც წარმოებაში, ისე მიმოქცევაში.

საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარება განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს მრეწველობაში ზეგეგმიანი დაგროვებისათვის, უმკაცრესი ეკონომიისათვის ფართოდ გაჩაღებულ მოძრაობასთან. სახსრების მიმოქცევის დაჩქარება ნიშნავს პირდაპირ ეკონომიას მთლიანად სახალხო მეურნეობისათვის და საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას, რამდენადაც იგი ბრუნვიდან ათავისუფლებს ასეულ მილიონობით მანეთს და შესაძლებლობას გვაძლევს ეს მილიონები გამოვიყენოთ ომისშემდგომი ხუთწლეული ადამდე შესასრულებლად. ამასთან ერთად ეგი ნიშნავს აგრეთვე პირდაპირ ეკონომიას ცალკე საწარმოებისაც. მატერიალურ ფასეულობათა შესანახი ხარჯების შემცირება, ბანკის კრედიტის პროცენტების შემცირება და, ბოლოს, წარმოების მოცულობის ზრდის გამო პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაში მუდმივი ხარჯების წილის შემცირება—ასეთია ეკონომიის ძირითადი წყაროები სახსრების მიმოქცევის დაჩქარების შედეგად.

„მიმოქცევის დაჩქარება, — თქვა მოსკოვის პარტიულ კონფერენციაზე ამხ. გ. მ. პოპოვმა,—უნდა ემყარებოდეს საწარმოს ეკონომიკის გულდასმით შესწავლას. სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებას, ნედლეულის ნორმაზე ეფექტ ნაშთების ლიკვიდაციას, მზა პროდუქციის დროზე რეალიზაციას.

საჭიროა მივაღწიოთ საწარმოო ციკლისა და დაუმთავრებელი წარმოების ოდენობის შემცირებას ნაკადურ სისტემასა და იძულებითრიტმიან კონვეიერზე გადასვლით“.

* * *

ბრძოლა საბრუნავი სახსრების მიმოქცევის დაჩქარებისათვის, უეჭველია, გადაიქცევა მილიონობით საბჭოთა ადამიანის, მძლავრ სოციალისტურ შეჯიბრებად, რომელიც მიმართულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისაკენ, სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან პატრიოტული მისწრაფებით — მთლიანად გამოიყენონ სოციალისტური წყობილების უდიდესი უპირატესობანი საბჭოთა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უფრო სწრაფად წასწიონ წინ ჩვენი მრეწველობა, უფრო გაადიდონ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, ომისშემდგომი ხუთწლედის მეოთხე წელი გადაიქცეს კომუნიზმისათვის ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ახალ, ისტორიულ გამარჯვებათა წელიწადად.

ჯ. ფედოსეევი

„პრავდა“.

ამხ. ს. ებრალიძის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი)

ჩვენი პარტიის ძალისა და ძლიერების წყაროა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორია. ეს კარგად ესმით ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი სერიოზულ მუშაობას ეწევიან კომუნისტებს, კადრებს თეორიული დონის ამაღლებისათვის. რაიონში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 24 წრე — 480 მსმენელთან, 27 პოლიტსკოლა — 586 მსმენელთან, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი ორი წრე — 50 მსმენელთან. პროპაგანდისტებად მუშაობენ თეორიულად მომზადებული ამხანაგები. მათ დასახმარებლად დროულად შეიქმნა პროპაგანდისტთა სემინარები.

მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად ეუფლება 296 კომუნისტი. მათ დასახმარებლად სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები პარტიის ისტორიისა და თეორიის, ფილოსოფიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის და სხვ. საკითხებზე. 1948 წელს მოეწყო 267 ლექცია, რომელსაც დაესწრო 25.690 კაცი. 119-ჯერ მოეწყო ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია, რომელსაც დაესწრო 1.217 კაცი.

მიუხედავად ამისა, კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმის დაყენებაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. სუსტად მუშაობს პარტკაბინეტი, არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საკონსულტაციო მუშაობა. პარტკაბინეტი ვერ აწყობს მოწინავე პრაქტიკანდილტა გამოცდილების განზოგადებას. იგი არ არის უზრუნველყოფილი ყველა აუცილებელი ლიტერატურით. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიოლეა დადგენილებამ „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ პარტიული ორგანიზაციების წინაშე მეტად დიდი და სერიოზული ამოცანები დასახა. ახალმა ამოცანებმა ახალი მოთხოვნები წაუყენეს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. პარტიის აბაშის რაიკომი სისტემატურად ისმენდა საკომეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების საანგარიშო მოხსენებებს ბიუროს სხდომებზე და რაიკომის პლენუმებზე, რის შედეგად დროოულად ვლინდებოდა და სწორდებოდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა ნამდვილად გადაიქცა უნარიან და მებრძოლ კოლექტივად. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები ახლა უკეთესად, ვიდრე წინათ, ზრუნავენ საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესებისათვის. თებერვლის პლენუმის დადგენილების მნიშვნელობას კარგად იცნობს თვითეული კომუნისტი. ამან გაზარდა მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის მდგომარეობისათვის. პარტორგანიზაციები ახალ შესაძლებლობას ავლენენ კოლმეურნეობებში მოსავლიანობა და შემოსავლის გასაღიდებლად.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ შესაძლებლობა მოგვცა 1947 წელს სოფლის მეურნეობის დარგში მოგვპოვებინა თვალსაჩინო წარმატებანი. ეს წარმატებანი აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით. ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის 17 მოწინავეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნა 36 ამხანაგი, შრომის წოდული დროშის ორდენით და მედლებით — 90 კაცი.

პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით მუშაობდა გასულ წელს აბაშის პარტიული ორგანიზაცია და ყველა ღონისძიებას ახორციელებდა უნდი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

უნდი მოსავლის მიღებით განსაკუთრებით სახელი გაითქვა სოფელ ნაფაკოვოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური შრომის გმირის ელპიტე არველაძის ბრიგადამ, რომელმაც 55 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 49,7 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. ნორიოს ბიუროს სახელობის კოლმეურნეობაში ვიქტორ ჩაჩავას რგოლმა მიჩენილი 11 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 78 ცენტნერი სიმინდი მოიწია.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საგრძნობლად განვითარდა მეცხოველეობა. 1947 წლამდე რაიონში თვითეული საფურაჟე ძროხის წველაობა 200-250 ლიტრს არ აღემატებოდა. 1947 წელს თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ 589 ლიტრს მიაღწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 480 ლიტრისა. 1948 წელს კი თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ რაიონში 740 ლიტრს მიაღწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 610 ლიტრისა. ბევრია ჩვენთან კოლმეურნეობა, რომელიც პირუტყვის სანიმეშო მოვლისა და პროდუქტიულობის გადიდების შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებს.

მეცხოველეობის განვითარებაში ჩვენ ცუდი მდგომარეობა არა გვაქვს, მაგრამ ხელს გვიშლის საზაფხულო სათვრების ნაკლებობა. ვთხოვთ მინისტრთა საბჭოს დამატებით გამოგვიყოს 1.000 ჰექტარი საზაფხულო სამოვარი.

რაიონული ცენტრის — აბაშის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი მუშობაა გაწეული. მარტო 1948 წელს ამ საქმეზე 3.500.000 მანეთი დაიხარჯა, რაც აღემატება წინათ მთელი ათი წლის განმავლობაში დახარჯულ თანხას.

ჩვენი მიღწევები შედეგია იმისა, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად გამოავლინა აბაშის პარტიული ორგანიზაციის მიერ დაშვებული შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში, მთელი რიგი ნაკლოვანებანი რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. 1946 წლის 19 აპრილს ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა აბაშის რაიკომის ანგარიში და მიიღო სათანადო დადგენილება.

აბაშის პარტიულმა ორგანიზაციამ საჭირო დასკვნები გაკეთა ამ დადგენილებიდან, გადაჭრით გაუმჯობესება სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აბაშის პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით შძლო გამოესწორებინა დაშვებული შეცდომები, დამახინჯებანი და ნაკლოვანებანი, რასაც მანამდე ადგილი ჰქონდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

აბაშის რაიონის პარტიული ორგანიზაცია მომავალში უფრო მჭიდროდ შემოიკრებს თავის გარშემო მშრომელებს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველფერს გააკეთებს მის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ი. ბ. სტალინის მიერ კინგსბერი სმიზის კითხვებზე გაცემული პასუხის გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკადრო). ამერიკის პრესა კვლავ უკეთებს კომენტარს ი. ბ. სტალინთან შეხვედრაზა და მოლაპარაკებაზე ტრუმენის უარს. გაზეთების ერთი ნაწილი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, თითქოს ი. ბ. სტალინისა და ტრუმენის შეხვედრას ახლა შედეგი არ მოჰყვებოდა. ტრუმენის უარის გამართლების ასეთი ცდა მოწმობს, რომ სჯერიოდ მიაჩნიათ დაამშვიდონ ამერიკელი ხალხის ფართო წრეები, რომლებიც მოითხოვენ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის განმორაკეცვლებას, ამ კვეყნებს შორის უთანხმობის აღმოფხვრას.

გაზეთ „ნიუ-იორკ სანნ" მიმოხილავენ ლოტერნს კვლავ საეჭვოდ მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ი. ბ. სტალინის წინადადების უარყოფის გონივრულობა. ლოტერნსი წერს: „ამერიკას ვერასოდეს ვერ ენნება წმინდა სინდისი, თუ მას ჩაიყენებენ იმ კვეყნის მდგომარეობაში, რომელსაც სამშვიდობო მოლაპარაკებს წარმიუძღვა არ სურს... მშვიდობისმოყვარე კვეყანას არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს სიამაყის მოსაზრებებს ანდა ფორმალობას, როცა საქმე ეხება იმას, მშვიდობა იყოს თუ ომი".

როგორც ლოტერნსი აცხადებს, „შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა პოზიციის სამართლიანი ის არის, რომ მას შეუძლია აფიქრებინოს ექსტრემისტებს, ომი ერთადერთი გამოსავალია და გარდუვალიაო".

ფოსტერი „დეილი უორკერის" ფურცლებზე, ეხება რა იმას, თუ რა მიზეზებით უარყვეს ამერიკის პოლიტიკის ხელმძღვანელებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის შშვიდობის პაქტი, წერს, რომ ომის საფრთხობელა ხელს უწყობს ამერიკის ხელმძღვანელებს შეემნან უდიდესი არმია და ფლოტი, შემნან სამხედრო ბაზები მთელ მსოფლიოში და ისეთი სამხედრო კავშირები, რომელიც ჩრდილო ატლანტიკის კავშირი, ხელს უწყობს მათ მოაზღინონ ამერიკის მთავრობისა და ამერიკელი ხალხის საყოველთაო მოლტარიზაცია.

ფოსტერი აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებანი ნავარაუდევია „უდიდესი სამხედრო მაწკანის შესაკმენელად, რომლის მიზანია განაბოლოებლის უსაზღვრო იმპერიალისტური ექსპანსიის ამერიკელი პროგრამა, რომელიც არ იძიებს ომს, რაც ამ რეაქციონერებს გარდუვალად მიაჩნიათ".

ფოსტერი წერს, რომ რეაქციონერებს განსაკუთრებით ესაზრიანებთ ომის საფრთხობელის ეკონომიური კრიზისის გამო. „რეაქციონერები თავგანწირვით ცდილობენ მორს გადასწიონ ანდა, საერთოდ შემოხვევანი, შეანელონ ამ კრიზისის დაბინგრეველი მოქმედება, რითაც აიძულებენ მთავრობას ახალი მილიარდები გამოაყოლ შეიარაღებისათვის". „სამხედრო ეკონომიკის პოლიტიკა ომის პოლიტიკაა. სამხედრო ეკონომიკა თავისთავად ვერასოდეს ვერ აგვიცდენს ეკონომიურ კრიზისს. მხოლოდ ომს შეუძლია გააკეთოს ეს ფფრო მეტი სამხედროების ფასად, ვიდრე კრიზისია".

ფოსტერი მოუწოდებს ამერიკელ ხალხს მოსთხოვოს ტრუმენის მთავრობას შეწყვეტოს „ცივი ომი", უარი თქვას ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო კავშირზე, შეიარაღების პროგრამაზე და საბჭოთა მთავრობასთან ერთად განიხილოს შშვიდობის შენარჩუნების საკითხი.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 5 თებერვალი. (საკადრო). პრეზიდენტ ტრუმენის უარი—შეხვდეს გენერალისიმუს სტალინს—ჩეხოსლოვაკიის პრესას მიაჩნია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ამ კურსის განგრძობად, რომლის მიზანია ახალი ომის გაჩაღება.

გაზეთი „ობრანა ლიდუ" მკვეთრად გმობს პრეზიდენტ ტრუმენის და ამერიკელი მმართველი წრეების პოზიციას.

მთელი პროგრესული პრესა და კეთილი სურვილის ყველა ადამიანი მთელ მსოფლიოში, წერს გაზეთი, უდიდესი ინტერესითა და აღტაცებით შეეგებენენ გენერალისიმუს სტალინის შშვიდობისმოყვარე წინადადებას. ისინი ასეთია) აღშფოთებით გმობენ ტრუმენის უარს—დაადგეს შშვიდობიანი მოლაპარაკების გზას. ამეუმად მთელი მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ გამოაშკარავებულია ამერიკელ პოლიტიკოსთა ნამდვილი სახე, რომელნიც ისწრაფვიან ომის საშუალებით გაბატონდნენ მთელ მსოფლიოში.

ყველასთვის ნათელი გახდა, თუ ვინ ისწრაფვიან შშვიდობისაკენ და ვის სურს ომი. მსოფლიომ კვლავ დაინახა, რომ მხოლოდ სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს სურთ შშვიდობა და იბრძვიან მისთვის. სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შშვიდობიან პოლიტიკას ბარს უჭერს მთელი მსოფლიოს მრავალი მილიონი უბრალო ადამიანი.

ბელგია

ბრიუსელი, 5 თებერვალი. (საკადრო). გაზეთ „პეპლის" დიპლომატიური მიმიხილველი აღნიშნავს, რომ ი. ბ. სტალინის ინიციატივა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სადავო საკითხების შშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ მსოფლიოს მეტწილ ხალხთა ფართო მხარდაჭერას პოულობს. მიმიხილველი აღიარებს, რომ „საშინაგანთნის უარმა არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის შეერთებული შტატები, მაშინ როცა სტალინის როლი შესანიშნავია".

გერმანია

ბერლინი, 4 თებერვალი. (საკადრო). როგორც ადნის საგაზეთო მაინის ფრანკფურტიდან იუწყება, დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ განცხადება გამოაქვეყნა გენერალისიმუს სტალინის მიერ სმიტის კითხვებზე გაცემული პასუხის გამო. განცხადებაში ნათქვამია:

„სტალინის პასუხი კვლავ უჩვენებს გერმანელ ხალხს, რომ საბჭოთა კავშირი ურყევად დგას იმ თვალსაზრისზე, რომელიც სტალინმა ჯერ კიდევ ომის დროს ჩამოაყალიბა, როცა თქვა:

„...ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხოლო გერმანელი ხალხი, ხოლო გერმანიის სახელმწიფო რჩება".

საბჭოთა კავშირი როგორც მსოფლიო სახელმწიფო კვლავ მთელი ენერგიით იცავს გერმანიის ერთიანობას. სტალინი გვიჩვენებს დაძაბული მდგომარეობის თავიდან აცილებისა და ურთიერთგაგების მიღწევის ახალ გზას, როცა წინადადებას იძლევა გაუქმდეს სატრანსპორტო შეზღუდვანი ზონებს შორის. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებზე იქნება დამოკიდებული ისარგებლებენ თუ არა ისინი ამ ისტორიული შესაძლებლობით.

მთელი მსოფლიოს შშვიდობის სამეფ მოითხოვს, რომ ხალხებმა ნება არ მისცეს თავიანთ სახელმწიფო მოღვაწეებს დაეკვდნენ იმაში, რომ მათ სტალინის წინადადებანი შშვიდობის დამყარების თავიანთი იმედის გამოსახიერებად მიაჩნიათ".

გაზეთი „შტუტგარტერ ციტუნგი" თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ ამხანაგ სტალინის წინადადება შეეხებაშეები დასავლეთის ფართო მასების სანუკვარ სურვილებს.

ბერლინი, 5 თებერვალი. (საკადრო). ტრუმენის უარმა—შეხვედროდ გენერალისიმუს სტალინსა—აღშფოთება გამოიწვია გერმანიის დემოკრატიულ წრეებში. გერმანიის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელ მოღვაწეთა აზრით ეს უარი იმის ნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობას არ სურს შშვიდობიანი გზით გადაწყვეს ყველა სადავო საკითხი, რათა მთელ მსოფლიოში დამყარდეს ერთიანი მტკიცე შშვიდობა.

გერმანიის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარემ ჰენრიხ რ�მ ტრუმენის უართან დაკავშირებით განაცხადა:

„სტალინის სულგრძელი წინადადება ტრუმენისადმი გამომეფინარეობდა მისი ნამდვილი მისწრაფებიდან შშვიდობისაკენ. ეს წინადადება ყველა ადამიანს უქმნის ტკეთესი შშვიდობიანი მომავლის პერსპექტივას და კეთილდ ჩვენ, გერმანელებს, გვისახავდა იმ პრობლემთა გადაჭრის იმედს, რომელიც დღემდე ფფერხებენ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღდგენას.

ტრუმენის პასუხი აკარწყლებს ამ იმედს, ლაჯვის სცემს მთელი მსოფლიოს შშვიდობას, ჩვენი ხალხის საარსებო საფუძველს. ამერიკელი მონოპოლისტები და მათი პრეზიდენტი არ ცდილობენ შშვიდობიანად გადაწყვეტონ უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებს წინაშეა დღეს მსოფლიო, თუ როგორ უნდა დავიფაროთ დასავლეთის პოლიტიკოსების საზეიმო განცხადებანი შშვიდობის შესახებ.

ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 თებერვალი. (საკადრო). ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესმა გამოაქვეყნა განცხადება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შშვიდობის პაქტის დადებაზე ტრუმენის უარის გამო. განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის იმ სამშვიდობო პაქტის დადებაზე, უარით, რომელიც ორი დიდი სახელმწიფოს ელინისძიებებს ხანგრძლივი დემოკრატიული მშვიდობის დამყარებისაკენ მიმართავდა, შეერთებული შტატების მთავრობამ მსოფლიოს შშვიდობისმოყვარე ხალხთა თვალში გამოიაშკარავა თავი, როგორც ახალი უფრო საშიანი მსოფლიო ომის მთავარმა წამქეზებელმა და სულსაჩამდგმელმა.

ტრუმენმა და აჩესონმა ვერაფერ დაარწმუნეს, როცა ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი ყოვლად გაუმართლებელი პოზიცია იმ არგუმენტით, რომ მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ და რომ ასეთი საშშვიდობო შეთანხმებანი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის უკვე არსებობენ და ამიტომ ახალი შეთანხმება საჭირო ალარ არის.

ასეთი პოზიცია სრულიად ეწინააღმდეგება თვითონ ტრუმენის საარჩევნო კამპანიის პიროიოდნი გაკეთებულ განცხადებებს, როცა იგი ამბობდა, საჭიროა უშუალო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორისა... მსოფლიოს ახლოს, რომ სწორედ ტრუმენმა უყოყმანოდ აიარა გვერდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, გამოაქვეყნა რა ტრუმენის დოქტრინა. თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ახსოვთ, რომ მარშალის გეგმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ წარმოჩნდა... მათ ახსოვთ, რომ სწორედ შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები აქეზებენენ და უმთავრესად მათივ განაბორიცელეს ოფრას დაშლა... მსოფლიომ აგრეთვე იცის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე, რომელიც ეკანონდ აცხადებს მისი წევრის მოქმედებას, როცა იგი მიმართულია ომისაკენ, შეერთებული შტატები საბჭოთა ბაზებს აგებენ საბჭოთა კავშირის გარშემო ამკარა განზრახვით, რომ ატომური ბომბები და არა თანიგულები დააყარონ საბჭოთა ხალხს".

განცხადებაში ნათქვამია, რომ ორკეფილი განცხადებანი, რაც ტრუმენის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი ნიშანი გახდა, ვერ მოატყუებენ პროგრესულ ამერიკელებს და მსოფლიოს ხალხებს, რომელნიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. განცხადება მოუწოდებს ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესში შემავალ ყველა ორგანიზაციას და რუზველტის ყველა მიმდევარს გაგზავნონ წერილი კონგრესში და მოსთხოვონ მიიღოს ტალინის სამშვიდობო წინადადება, და რომ ტრუმენმ მთავრობამ ყოველი ღონე იხმაროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის პაქტის დასადებად.

განცხადებას ხელს აწერენ ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის თავმჯდომარე კრეიკი და მდივანი პირისსა.

ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ყრილობა

ოსლო, 5 თებერვალი. (საკადრო). 4 თებერვალს ოსლოში გაიხსნა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 220 დელეგატი, სტორტინგის კომეფლატი დეპუტატები და პარტიის ცენტრალური გამგეობის წევრები.

ყრილობის ესწრებიან სტუმრები სხვა ქვეყნების კომპარტიებისაგან: ინგლისის კომპარტიისაგან—ჰარი პოლიტი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისაგან—აკერმანნ; დანიის კომპარტიისაგან—ანსენ ლარსენი და ბორგე ჰანშანნ; ფინეთის კომპარტიისაგან — მიქაელ რომბერგი და ილი მიაკინენ; შვეიცის კომპარტიისაგან—ბენნერ ემანნ, ერიკ კარლსონ და გოტფრედ გუსტაფსონნ.

ყრილობა გაახსნა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ემილ ლევლინმა.

ნორვეგიის მშრომელნი ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის შეერთების წინააღმდეგნი არიან

ოსლო, 6 თებერვალი. (საკადრო). დეპუტატ ალბერ ქალთა საერთაშორისო ფედერაციის ნორვეგიის სექციის მთავრობისა და სტორტინგს გაუგზავნა ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის შესაძლო შეერთების წინააღმდეგ სპარტესტერ რეზოლუცია.

რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ არ გვსურს ჩაბმულ აღმოჩნდეთ მესამე მსოფლიო ომში, რაც საშინელი ლაგრის ჩაცემა იქნებოდა კაპიტალისტიზმისათვის, რომელსაც მშვიდობა და უშიშროება სურს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ატლანტიკის პაქტისადმი ნორვეგიის შეერთება გაზრდის ომის საფრთხეს. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ნორვეგიამ პაქტს გარეთ დარჩეს. ნორვეგიამ ისეთი გზა უნდა აირჩიოს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა მხარი დაეჭიროს მსოფლიოს ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობისათვის საფუძვლის შექმნის-ყოველი ღონისთვის".

რეზოლუციას ხელს აწერს ორმოცდაათი საზოგადოებრივი მოღვაწე. რეზოლუციას შეუერთდნენ: გაზის სახელოსნოების მუშათა კავშირი, მეფყალსადენეთა კავშირი, ელექტროსადგურების მუშა-მოსამსახურეთა კავშირი და ნორვეგიის ოცი სხვა პროფკავშირული ორგანიზაცია. გარდა ამისა, რეზოლუციას ხელს აწერს ოსლოს სხვადასხვა საწარმოთა რამდენიმე ასეული მუშა.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის კომუნიკე

ჩრდილოეთი შენი, 4 თებერვალი. (საკადრო). როგორც სინხუა სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის კომუნიკეს თანახმად, სათანაო მოქმედების ორწლიანახევრის განმავლობაში გომინდანის ჯარებმა დაკარგეს 4,5 მილიონი კაცი, იქედან 71 პროცენტზე მეტი რეგულარული ჯარებზე მოდის. ამავე პერიოდში ტყვედ იქნა წამოყვანილი გომინდანის 2.693 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სათანაო მოქმედების ორწლიანახევრის განმავლობაში მოკლულ იქნა, ტყვედ წამოყვანილია ან ტყვედ ჩაბარდა 869 გომინდანელი გენერალი — დივიზიის მეთაური და უფრო მაღალი რანგისა. მათგან ტყვედ წამოყვანილია 697 კაცი, ტყვედ ჩაბარდა 105 კაცი და მოკლულია 67 კაცი.

ამავე პერიოდის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გაათავისუფლა დაახლოებით 300.000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 55 მილიონამდე მოსახლეობით.

„ამრიგად, განთავისუფლებული რაიონების ტერიტორია გაიზარდა 2.580 ათას კვადრატულ კილომეტრამდე, ხოლო მოსახლეობამ 190 მილიონ კაცს „გადაჯარა. ორწლიანახევრის წინით განთავისუფლებული რაიონების ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ 2.300 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, მხოლოდ 136 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

ორწლიანახევრის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გაათავისუფლა 270 ქალაქი და სამაზრო ცენტრი. ამრიგად, სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ საერთოდ გაათავისუფლა 737 ქალაქი და სამაზრო ცენტრი.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ორწლიანახევრის განმავლობაში განაადგურა ერთი სამხედრო ზონის, 11 საარმიო ჯგუფის, სამი „დამშვიდების რაიონის", ოთხი რეორგანიზებული არმიის, 67 არმიის, 23 დივიზიის შტაბები, აგრეთვე გაანადგურა 246 დივიზია, 594 ჯგუფი, 722 ბატალიონი.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ სათანაო მოქმედების ორწლიანახევრის განმავლობაში ხელთ იგდო 1.480 ათასზე მეტი მაშინა და რეკვოლვერი, 170.000-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 30 ათასზე მეტი საარტილერიო ქვეშები, 2.280 ათასზე მეტი ყუმბარა, 226 მილიონზე მეტი ვაზნა, 1.900 ათასზე მეტი ხელფარანტი, 38 თვითმფრინავი, 242 ტანკი, 214 ჯავშნიანი ავტომობილი, 772 ორთქლმავალი და 9.300-ზე მეტი ფატმანაწანა.

„ამავე პერიოდის განმავლობაში ჩამოგდებულია გომინდანელთა 161 თვითმფრინავი და მოსპობილია გომინდანელთა 129 ტანკი.

ირანის შაჰზე თავდასხმის გამო

თეირანი, 5 თებერვალი. (საკადრო). შაჰზე თავდასხმის გამო მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თეირანსა და მის მიდამოებში შემოღებულია სამხედრო წესები. დაიხურა მთელი რიგი გაზეთები.

„შაჰი მუხუტკად არის დაჭრილი.

გაზეთ „ეთოლაათის" სადაზვერვო გამოშვებაში, აგრეთვე 5 თებერვალს დილით გამოსულ გაზეთ „ირანში" (სხვა გაზეთები არ გამოსულა) მოთავსებულია ცნობა, რომ ფაჰრი რაი, რომელიც თავს დაესხა შაჰს, მოკვდა ჭრილობებისაგან, რაც მას თავდასხმის ადგილას მეცველებმა მიაყენეს სასროლი იარაღით. ფაჰრი რაის ალმოაჩენდა „გაზეთ „ფარჩემე ისლამის" კორესპონდენტის ბარათი. ეს გაზეთი ახლო დგას პროინგლისტურ კლერიკალურ წრეებთან, რომელთაც სათავეში ედგას ამოლ ყასემ ქაშანი. კორესპონდენტის ბარათი ფაჰრი რაისათვის „ფარჩემე ისლამის" რედაქტორს მიეცია შაჰზე თავდასხმის დღეს, ე. ი. 4 თებერვალს.

ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრის გაცხადება

ლონდონი, 5 თებერვალი. (საკადრო). რომგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩატერ იდმა გუშინ პარლამენტში განაცხადა, რომ 6 თებერვალად ბოსნიანი აკრძალა პოლიტიკური პროცესების მოწყობისა ლონდონში, რაც გასულ წელს შემოღებულ იქნა უწესრიგობა თავიდან აცილებლად იმ უბნებში, რომლებიც მეტწილად ებრაელებით არის დასახლებული. გასული წლის ამრიგში საპოლიციო ხელისუფლებმა ითხოვეს ამ აკრძალვის შემოღება მას შემდეგ, რაც ფაშისტურმა „უნიონისტურმა მოძრაობამ", რომელსაც ოსვალდ მოსლი მეთაურობს, განაცხადა, რომ განზრახვა აქვს მოაწყოს ოლშერობა ისტ ენდზე (ლონდონის ნაწილი, რომელიც დასახლებულია მუშებითა და ებრაიბებით) გაგლით.

იდმა გუშინ განაცხადა, რომ, საპოლიციო ხელისუფალთა აზრით, ასეთი აკრძალვა საჭირო აღარ არის.

დასავლეთი საოკუპაციო ხელისუფალნი ბერლინში სპეციალური მოქმედებენ

ბერლინი, 5 თებერვალი. (საკადრო). რომგორც ადნის სააგენტო იუწყება, ინგლისისა და ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციებმა ბერლინში ოფიციალურად განაცხადა, რომ 6 თებერვალს 24 საათიდან იკრძალება ბლატაციელებთან გასვლა ოკუპაციის საბჭოთა ზონიდან ბიზონიანში და ბიზონიდან საბჭოთა ზონაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე ეხება სხვა ქვეყნებში გასაგზავნ სატრანზიტო ტვირთებს. ეს აკრძალვა ვრცელდება როგორც ყველა იმ სატრანზიტო ტვირთებზე, ასევე ბერლინის ფარგლებში.

ადნის ოფიციალურ ინფორმაციაში ნათქვამია, „ეს ზომა ბერლინის ბლოკადის ერთ-ერთ ეტაპად ითვლება. ეს ზომა ბერლინელ ხალხს ეუბნება, ბერლინელ ხალხს ეუბნება, ბერლინელ ხალხს ეუბნება,